



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის  
საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა [contact@sca.ge](mailto:contact@sca.ge), ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის  
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 112 მუხლის მე-3 პუნქტისა და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 19 ფურცელი.

პატივისცემით,  
კომიტეტის თავმჯდომარე

ვახტანგ წულაძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის  
დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი“ (თან ერთვის).

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ჩაქვი,  
2019 წლის  
№





## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ტერიტორიაზე არსებული ტყეების მართვის გრძელვადიან ხედვას მათი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით. იგი სრულად შეესაბამება საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს დამტკიცებულ საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მიზნებსა და პრინციპებს.

საქართველოს ტყეებს ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 39% უკავიათ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომლის ტერიტორია 282 640 ჰა-ს შეადგენს, ტყეები მთლიანი ფართობის 66,5%-ს ფარავს. სხვა რეგიონებთან შედარებით, აჭარა ტყით დაფარულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. აჭარის ტყეების 15% წარმოადგენს დაცულ ტერიტორიებს და შესაბამისად მათი მართვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. დანარჩენ 85%-ს მართავს აჭარის სატყეო სააგენტო.

აჭარის ტყეები მდებარეობს მსოფლიოს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ განსაზღვრულ „პრიორიტეტულ ადგილსა“ და Conservation International-ის „ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ ცხელ წერტილში“. მისი ბიომრავალფეროვნება არის საქართველოს და კავკასიის რეგიონის ბუნებრივი მემკვიდრეობის ფასდაუდებელი სიმდიდრე, რომელიც განპირობებულია კავკასიის განსაკუთრებული ისტორიული და გეოლოგიური პროცესებით, რის შედეგადაც შეიქმნა აღმოსავლეთ შავი ზღვის წყალშემკრები აუზის თავშესაფარი. მესამეული პერიოდიდან მოყოლებული სწორედ ამ თავშესაფარმა გადაარჩინა არსებული გამყინვარების პერიოდში რეგიონის მრავალი რელიქტური მცენარე. აჭარის ტერიტორიაზე ტყეები იზრდებოდა შედარებით ნაკლები შეფერხებისა და ცვლილებების ფონზე. აქედან გამომდინარე, აჭარის უძველესი ტყეები გამორჩეულია თავისი წარმოშობითა და ევოლუციური განვითარებით, რელიქტური და ენდემური სახეობების მრავალფეროვნებით. მათ შენარჩუნებული აქვთ თავიანთი პირვანდელი ბუნებრივი სტრუქტურა და შემადგენლობა.

აჭარის ტყეები ფაუნის არაერთი წარმომადგენლის, მათ შორის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის საბინადრო გარემოსაც წარმოადგენს, რომლებიც ეკოლოგიური წონასწორობის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

აჭარის ტყეებს ძირითადად წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციები გააჩნიათ. ისინი არეგულირებენ წვიმის წყლის ნაკადს ნიადაგის ზედაპირზე, ნიადაგის სიღრმეში და მდინარეებში, ამაგრებენ ნიადაგის ზედა ფენას. ამ გზით ტყეები ხელს უშლიან ნიადაგის ეროზიის წარმოქმნას და მდინარეების ჩამონადენით დაბინძურებას, რითაც ხელს უწყობენ მტკნარი წყლისა და ბიომრავალფეროვნების სიჯანსაღეს, ამცირებენ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის შენახვის ხარჯებს. ტყეები ასევე ამცირებენ მეწყერის, ქვათა ცვენისა და ზვავის წარმოშობის საფრთხეს, რითაც იცავენ მოსახლეობასა და მათ საცხოვრებელ ადგილებს დაზიანებისაგან. ტყეები ატმოსფეროდან შთანთქავენ 735 გგ CO<sub>2</sub> -ს ნახშირორჟანგს, რაც აჭარაში ყველა სხვა წყაროსგან გამოყოფილ ნახშირორჟანგზე (340.35 გგ) ორჯერ მეტია. ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთელი რეგიონის ნახშირბადის დაბალანსებისა და კლიმატის რეგულირების საკითხში.

აჭარის ტყეები უზრუნველყოფენ ადგილობრივ მოსახლეობას მერქნული რესურსით. ასევე აჭარის ტყეები მდიდარია არამერქნული პროდუქტებითაც, როგორებიცაა: სოკოები, კენკროვანები, კაკლოვანები, სამკურნალო მცენარეები და სხვა. ტყე წარმოადგენს ფუტკრისათვის როგორც ნექტრის მოპოვების ძირითად წყაროს, ასევე სივრცეს ფუტკრის



სკების განსათავსებლად, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია თავლის წარმოებისა და ადგილობრივი პროდუქციის განვითარებისთვის. აჭარის მთიანი რელიეფის გამო, სადაც ჭარბობს მაღალი დახრილობის ფერდობები და ვიწრო ხეობები, მცირე ტერიტორიები, რომლებიც გამოსადეგია სამოვრად, ამიტომ ხშირად შინაურ ცხოველთა მოვება მიმდინარეობს ტყის იმ ტერიტორიებზე, სადაც ეს დაუშვებელია.

აჭარის ტყეების განსაკუთრებული ესთეტიკური სილამაზე უფრო მეტად ზრდის რეგიონის ტურისტულ პოტენციალს. მრავალფეროვან ლანდშაფტებით მდიდარ მთიან აჭარას, ტურისტების მზარდი რაოდენობა სტუმრობს. ისინი ეზიარებიან ადგილობრივი ხალხის სტუმართმოყვარეობას, კულტურასა და ტრადიციებს. ეკოტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დამატებითი შემოსავლის წყაროების გაჩენას.

აჭარის ტყეების, ისე როგორც მთლიანად საქართველოს ტყეების წინაშე იკვეთება შემდეგი ძირითადი საფრთხეები:

1. ტყეების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფებით, ასევე ანთროპოგენური ზემოქმედებით, კერძოდ: მოსახლეობის მიერ ხე-ტყის სათანადო წესების დარღვევით მოპოვებით, ტყის ხანძრებითა და შინაური პირუტყვის უკონტროლოდ მოვებით, რის შედეგადაც ტყეების ნაწილმა უკვე დაკარგა თვითაღდგენის უნარი. ტყის ფრაგმენტაცია, რომლის დროსაც ტყე ნაწევრდება შედარებით პატარა ფართობებად. ტყის ფრაგმენტაციის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზებია: არამდგრადი სატყეო-სამეურნეო საქმიანობები, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურული პროექტები. ფრაგმენტაცია იწვევს ტყის კორომებს შორის კავშირის კარგვას, გენეტიკურ იზოლაციასა და ტყის ადაპტაციური შესაძლებლობების შემცირებას, რის გამოც ჰაბიტატები მნიშვნელოვან დეგრადაციას განიცდის.
2. მავნებლები, როგორებიცაა: *Dendroctonus micans*, *Cydalima perspectalis*, *Hyphantria cunea* და *Ips typographus*, და დაავადებები: *Chriphonectria parasitica*, *Phellinus pinivar*, *Cylindrocladium buxicola* მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ ტყის კორომებს;
3. კლიმატის ცვლილება, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ტყეებში ცალკეული სახეობების არსებობას, ასევე მთელი ეკოსისტემის სიჯანსაღეს. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების თანახმად, აჭარაში საშუალო წლიური ტემპერატურა დროთა განმავლობაში გაიზრდება 3.5 °C -ით, რაც გამოიწვევს არსებული და სხვა მავნებელ-დაავადებების გააქტიურებას და ტყის ხანძრების სიხშირის მომატებას. აჭარაში მოსალოდნელია ტემპერატურის მატება, წლიური ნალექების შემცირება, დღიური ნალექების მაქსიმალური მაჩვენებლის ზრდა, ხშირი და მკაცრი გვალვები. აღნიშნული რისკის ფონზე, მცენარეთა სახეობები ვერ მოასწრებენ შეცვლილი კლიმატისადმი სწრაფად ადაპტირებას და ვერტიკალურ მიგრაციას, რის გამოც ისინი გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან. კლიმატის ცვლილების შედეგად, ასევე, გაიზრდება ქარიშხლების, უხვი ნალექების, მეწყერებისა და ღვარცოფების ინტენსივობა, რაც პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს როგორც თავად მოსახლეობისათვის, ასევე არსებული ინფრასტრუქტურისათვის;

### 1. სატყეო პოლიტიკის მიზანი

აჭარის ტყეების ღირებულებებისა და მათ წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის მიზანია:

ტყის მდგრადი მართვისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპებზე დაფუძნებული სატყეო სექტორი უზრუნველყოფს ჯანსაღ, ეკოლოგიურად უსაფრთხო



გარემოს და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, კლიმატის ცვლილების და ანთროპოგენური ზემოქმედების უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების ეფექტიან დაკმაყოფილებას, ტყის ფუნქციონალური დატვირთვის გაზრდასა და გაძლიერებას.

## 2. პრობლემები

სატყეო სექტორში არსებული პრობლემები წარმოადგენენ აჭარის სატყეო პოლიტიკის მიზნის მიღწევის დამაბრკოლებელ ფაქტორებს. ეს პრობლემებია:

1. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა. როგორც ეს საქართველოს ეროვნულ სატყეო კონცეფციაშია აღნიშნული, სატყეო სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს; ამ ნორმატიულ აქტებში არსებული ხარვეზები და კოლიზიები განაპირობებენ მათ წინააღმდეგობას როგორც ერთმანეთთან, ისე ქვეყანაში მოქმედი სატყეო ურთიერთობების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან;
2. ტყის მერქნული და არამერქნული რესურსით არარაციონალური სარგებლობა. მოსახლეობის საჭიროებისათვის მერქნული რესურსის გამოყოფის პროცედურა არ არის ეფექტური. არ არის გათვალისწინებული საშუალება და სამასალე მერქნის ზუსტი გამოსავლიანობა. რამოდენიმე მცენარის სახეობის გარდა, რომლებიც რეგულირების საგანს წარმოადგენს, არამერქნული რესურსის მოპოვება ხდება უსისტემოდ და არამდგრადად, რაც ზიანს აყენებს ტყეებს.
3. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს ტყის რესურსების არაგონივრულ გამოყენებასა და ტყითსარგებლობის წესების დარღვევას. ხელმისაწვდომი ალტერნატიული ენერჯის წყაროს არ არსებობა განაპირობებს დიდ მოთხოვნილებას საშუალება ხე-ტყეზე.
4. მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე მდგრადი ტყითსარგებლობის საკითხებში, რაც მოსახლეობის მიერ მერქნული და არამერქნული რესურსის მოპოვებისას იწვევს ტყის დეგრადაციას;
5. აჭარის ტყეების მართვის ორგანოს - სატყეო სააგენტოს არასაკმარისი შესაძლებლობები. აჭარის სატყეო სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას მართვის ორგანოს მოქნილი სტრუქტურული მოდელი. დღეისათვის სააგენტოს არ გააჩნია საკმარისი ადამიანური, ფინანსური რესურსები და ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უშლის მის შემდგომ განვითარებას. სააგენტოს არ გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე (მოტივაციის, პერსონალის შეფასების და სხვ.) სისტემები. საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ სააგენტოს საკმარისი რაოდენობის პროფესიონალი სპეციალისტებით.

## 3. პრიორიტეტული მიმართულებები

სატყეო პოლიტიკის მიზნის მისაღწევად იკვეთება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღის შენარჩუნება;
2. დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება;
3. ტყის მაღალი კოსერვაციული ღირებულებების დაცვა-შენარჩუნება;
4. ტყის მერქნული რესურსებით რაციონალური სარგებლობა;
5. ტყის არამერქნული რესურსებით რაციონალური სარგებლობა;
6. ტყითსარგებლობა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის;



7. ტყითსარგებლობა ნადირობისა და თევზჭერის მიზნით;
8. ტყითსარგებლობა რეკრეაციული მიზნით;
9. ტყის მართვის ძლიერი უწყების შექმნა;
10. საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა;
11. კანონმდებლობა.

სატყეო სექტორი მჭიდრო კავშირშია ქვეყნის განვითარების სხვა სექტორებთან, აქედან გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების განხორციელება საჭიროებს სხვა სექტორებთან თანამშრომლობას, ისევე როგორც სხვა სექტორების განვითარება მოითხოვს სატყეო სექტორის მხრიდან გარკვეულ ძალისხმევას.

### 3.1 ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღის შენარჩუნება

აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებულ კლიმატის მოდელში აღინიშნება, რომ აჭარაში მოსალოდნელია ტემპერატურის მატება, წლიური ნალექების შემცირება, დღიური ნალექების მაქსიმალური მაჩვენებლის ზრდა, ხშირი და მკაცრი გვალვები. აღნიშნული ცვლილებები სხვადასხვა სახით იმოქმედებენ ტყეზე; მცენარეულობისა და ტყის ტიპების ვერტიკალური სარტყლები ნელ-ნელა აიწვეს ზევით, ტყეების სიცოცხლისუნარიანობა და პროდუქტიულობა შემცირდება; ასევე მოსალოდნელია არსებული და ახალი მავნებლებისგან გამოწვეული პათოლოგიური საფრთხეების ზრდა, გახშირდება ტყის ხანძრები განსაკუთრებით კი მშრალი ზაფხულის პირობებში.

მოსალოდნელია, რომ კლიმატი უფრო სწრაფად შეიცვლება, ვიდრე ტყეები მოასწრებენ არსებულ გარემოსთან ადაპტაციას. თუმცადა, შესაძლოა მთელი რიგი ქმედებების განხორციელება, რითაც შესაძლებელი გახდება კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის შერბილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტრესის მიმართ ტყეების მდგრადობა შესაძლოა გაძლიერდეს ტყის მრავალხნოვანი კორომების შენარჩუნებითა და მავნებელ-დაავადებებთან საბრძოლველად უფრო ეფექტური საშუალებების გამოყენებით. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის მიზნით, დეგრადირებული ტყეების აღდგენა-გაშენებისას გამოყენებულ უნდა იქნეს მოსალოდნელ კლიმატურ სარტყელში გაზრდილი ნერგები. უნდა განხორციელდეს მსოფლიოში გავრცელებული - ტყეების ადაპტური მართვის პრაქტიკა, რაც გულისხმობს განხორციელებული ქმედებების შედეგებზე მუდმივ მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმილი სამუშაოებისა და მიდგომის შეცვლას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გაატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომელიც გააძლიერებს ტყეების მდგრადობას და ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ასეთებია:

ა) კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესწავლა ტყის სიჯანსაღისა და პროდუქტიულობაზე;

ბ) ტყის მონიტორინგის განხორციელება მათი სიჯანსაღისა და პროდუქტიულობის შესახებ მუდმივი ინფორმაციის მისაღებად;

გ) ტყის ინვენტარიზაციისა და სატყეო მეურნეობის დაგეგმვისათვის ახალი სახელმძღვანელო დებულებების შემუშავება ადაპტური ტყის მართვის მიდგომის ხელშესაწყობად;

დ) ტყის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის გაუმჯობესებული მეთოდების შესწავლა-დანერგვა.



### 3.2 დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება

წლების განმავლობაში აჭარის ტყეებით არაორგანიზებულმა და უკანონო სარგებლობამ გამოიწვია ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია. შესაბამისად ამ პირობებში ტყეების სიცოცხლისუნარიანობა და პროდუქტიულობა დასუსტდა.

ტყის აღდგენის დროს, არსებულ გარემო პირობებთან და კლიმატთან ადაპტირებული ადგილობრივი სახეობების გამოყენება გააჯანსაღებს ეკოსისტემას და გახდის მას უფრო მდგრადს კლიმატის ცვლილების მიმართ, გაძლიერდება ტყის დაცვითი ფუნქციები. ტყის აღდგენა-განახლებისათვის საჭიროა:

ა) ტყის აღდგენის სხვადასხვა მეთოდების კვლევა და აღნიშნული კვლევების საფუძველზე ტყის აღდგენის შესაბამისი პროგრამების შემუშავება.

### 3.3 მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა-შენარჩუნება

აჭარის ტყეები მდიდარია დიდი და კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ეკოლოგიური ღირებულებებით, როგორცაა იშვიათი, გადაშენების ან საფრთხის პირას მყოფი სახეობები, ხელუხლებელი ტყის ლანდშაფტები, ლანდშაფტის დონის ეკოსისტემები, იშვიათი და გადაშენების პირას არსებული ეკოსისტემები და ჰაბიტატები. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა სატყეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ზოგი მაღალი კონსერვაციული ღირებულება იწვევს კონფლიქტს მოსახლეობასთან. მაგალითად დათვი, მგელი, ფოცხვერი თავს ესხმის შინაურ ცხოველებს. აუცილებელია მოიძებნოს გამოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი კონსერვაციული ღირებულებების შენარჩუნებას მოსახლეობის საარსებო საშუალებების ხელყოფის გარეშე. ქმედებები, რომელთა გატარებაც საჭიროა აჭარაში მაღალი კონსერვაციული ღირებულებების დასაცავად შემდეგია:

ა) მაღალი კონსერვაციული ღირებულებების დასაცავად და შესანარჩუნებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ბ) ადგილობრივი ეკოსისტემების მაღალი კონსერვაციული ღირებულებებიდან გამომდინარე, მოსახლეობასთან არსებული ზემოთხსენებული კონფლიქტების შესამცირებლად სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

### 3.4 ტყის მერქნული რესურსით რაციონალური სარგებლობა

მთიანი რელიეფისა და დაცვითი ფუნქციების პრიორიტეტულობის გამო, მდგრად პრინციპებზე დაყრდნობით დამზადებული ხე-ტყის მოცულობა აჭარაში შეზღუდულია. ტყის მართვის გეგმის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ტყეებში ყოველწლიურად შესაძლებელია 80-90 000 კმ ხე-ტყის დამზადება.

მერქნული რესურსის რაციონალური გამოყენების მიზნით, აუცილებელია ტყის მართვის ორგანოს მიეცეს ხე-ტყის არა მხოლოდ გამოყოფისა და გაცემის, არამედ დამზადების საშუალებაც, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ტყის მერქნული რესურსის დანაკარგის გარეშე და გარემოსათვის მაქსიმალურად უსაფრთხო მოპოვებას. ასევე, აუცილებელია სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს ენერჯის ალტერნატიური წყაროებით (ბუნებრივი გაზი, მზის ენერჯია და სხვა). გასათვალისწინებელია მოპოვებული ხე-ტყის უფრო ეფექტური მოხმარების დანერგვა, რაც გულისხმობს საწვავად მშრალი ხე-ტყის და ასევე ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენებას.



ხის მერქნული რესურსის უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით, საჭიროა გატარდეს შემდეგი ქმედებები:

ა) ტყის მართვის ორგანოს გაძლიერება

ბ) საშემე მერქანზე მოთხოვნილების შემცირებისაკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს არამერქნული ენერჯის, როგორცაა გაზის, მზის ენერჯისა და სხვა ენერჯის წყაროების უფრო მეტ გამოყენებას და ხის მერქნის, როგორც საწვავის უფრო ეფექტური გამოყენების წახალისებას.

გ) შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფა.

### 3.5 ტყის არამერქნული რესურსით ეფექტური სარგებლობა

მცენარეთა რამოდენიმე სახეობის გარდა არამერქნული რესურსის მოპოვება ხდება უკონტროლოდ. ამან შესაძლოა ზიანი მიაყენოს ტყეებს. ზოგიერთი სახეობა მაგ. ძმერხლი (*Ruscus hypophyllum*) წარმოადგენს მოწყვლად სახეობას და მისი უსისტემო მოპოვება ზიანს აყენებს ტყის ეკოსისტემებს და იწვევს ტერიტორიის დეგრადირებას.

სატყეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის საკუთარი მოხმარებისა და ასევე სამეწარმეო მიზნით მცენარეული პროდუქტების მოპოვების დარეგულირება და გაკონტროლება, რაც ააცილებს ტყეებს ზიანს და უზრუნველყოფს ტყის არამერქნული რესურსების მდგრად სარგებლობას.

ტყის არამერქნული რესურსით უფრო ეფექტური სარგებლობისათვის აუცილებელია შემდეგი ქმედებების გატარება:

ა) აჭარის ტყეებში კომერციულად საინტერესო მცენარეული პროდუქტების მარაგების კვლევა;

ბ) ტყის მცენარეული პროდუქტის შეგროვებიდან, გადამუშავებიდან და რეალიზაციიდან მიღებული დამატებითი ღირებულების პოტენციალის შესწავლა.

გ) შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფა.

### 3.6 ტყის სარგებლობა სასოფლო სამეურნეო მიზნებისათვის

მესაქონლეობა აჭარის მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საარსებო წყაროა. სამოვრების არასაკმარის რაოდენობა განაპირობებს ფერმერების მიერ ტყის ტერიტორიის სამოვრად გამოყენებას. შინაური ცხოველების მოუწყვრეგებელი ძოვება აჭარის სუბ-ალპური ტყეების დეგრადაციის ძირითადი მიზეზია.

ტყეში ძოვება ნებადართულია მკაცრად კონტროლირებადი პირობების ფარგლებში, რისთვისაც ტყის მართვის გეგმაში უნდა განისაზღვროს ძოვებისათვის ნებადართული ტერიტორიები. ძოვება უნდა ხორციელდებოდეს სათანადო კონტროლის ქვეშ. საჭიროა სათანადო მარშრუტების შემუშავება, ტერიტორიების გამოყოფა და შესაბამისი წესების შემუშავება.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ტყეებს ტრადიციულად იყენებს თივის დასამზადებლად და ფუტკრის სკების განსათავსებლად. თივის დამზადება და ფუტკრის სკების განთავსება უნდა ხორციელდებოდეს ტყის მდგრადი მართვის შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ ტყის ის ტერიტორიები, რომლებიც გამოიყენება სათიბებად,



ასევე წარმოადგენს ველურ ბუნებაში მობინადრე სახეობების კვების არეალს. აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია სათიბების გამოყოფის პროცესში. ფუტკრები შეადგენენ მოყვავილე მცენარეების დამტვერვის ბუნებრივი ციკლის ძირითად ნაწილს. ისევე, როგორც სამოვრების შემთხვევაში, ტყის ფართობების გამოყოფა თივის დასამზადებლად და მეფუტკრეობისათვის ორგანიზებულად უნდა განხორციელდეს, ამ ფართობებით სარგებლობა კი მკაცრად უნდა გაკონტროლდეს. ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობასთან დაკავშირებით, საჭიროა შემდეგი ქმედებების განხორციელება:

ა) შემუშავდეს და განხორციელდეს ტყის ფართობის სამოვრად გამოყოფისა და გაკონტროლების სპეციალური სისტემა;

ბ) შემუშავდეს და განხორციელდეს ტყის ფართობის მეფუტკრეობისათვის, თივის დასამზადებლად და სხვა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყოფისა და გაკონტროლების სპეციალური სისტემა.

### 3.7 ტყის სარგებლობა ნადირობისა და თევზჭერის მიზნით

ნადირობა და თევზაობა პოპულარულია და მონადირეები და მეთევზეები მზად არიან გადაიხადონ შესაბამისი თანხა ნადირობისათვის და თევზაობისათვის.

ნადირობისა და თევზაობის ორგანიზების სხვადასხვა გზა არსებობს. ნადირობისა და თევზაობისათვის შესაძლებელია შეიქმნას სათანადო მეურნეობები. ასევე, შესაძლებელია აჭარის სატყეო სააგენტომ თავად განახორციელოს ნადირობისა და თევზაობის ორგანიზება ველურ გარემოში და გარკვეულ საზღაურად გასცეს ნებართვა, რის საფუძველზეც ნებართვის მფლობელს ნადირობისა და თევზაობის უფლება მიეცემა. სხვადასხვა მიდგომების დადებითი და უარყოფითი მხარე ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი.

ნადირობისა და თევზჭერის მიზნით, ტყის სარგებლობის რაციონალურად განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი ქმედებები:


ა) შესწავლილ იქნეს ველურ ბუნებაში ნადირობისა და თევზაობის სხვადასხვა მეთოდით მოწყობის შესაძლებლობები იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარეული ნადირ-ფრინველის, თევზის პოპულაციებსა და ტყეების სიჯანსაღეს;

ბ) სატყეო მიწაზე სათევზე და სამონადირეო მეურნეობების მოწყობისა და განვითარების ხელშეწყობა.

### 3.8 ტყის სარგებლობა რეკრეაციული მიზნით

აჭარაში დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება სხვადასხვა სახის ტურისტულ პროდუქტზე. უფრო და უფრო მეტ ტურისტს სურს მოინახულოს აჭარის განუმეორებელი ბუნება და მშვენიერი ლანდშაფტები, ეზიაროს მთიანი აჭარის კულტურასა და ტრადიციებს. ამის ნათელი მაგალითია აჭარის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების მზარდი რაოდენობა. ტყეების გამოყენება ნებადართულია რეკრეაციული და საკურორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ამის შესაძლებლობა არის აჭარის ტყეებშიც, დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას გაიუმჯობესოს საარსებო საშუალებები. ტყეების ტურისტული და რეკრეაციული განვითარება დადებითად იმოქმედებს აჭარის ეკონომიკაზეც.

ტყეების რეკრეაციული მიზნით სარგებლობისათვის საჭირო იქნება:





ა) შეფასდეს და დამუშავდეს რეკრეაციული და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფცია აჭარის სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ არსებულ ტყეებში.

### 3.9 ტყის მართვის ძლიერი უწყების შექმნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყეების მართვას ახორციელებს აჭარის სატყეო სააგენტო. სააგენტო ტყის მართვის გეგმის საფუძველზე ახორციელებს ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენისა და ტყითსარგებლობის ღონისძიებებს.

აჭარის სატყეო სააგენტო იქნება ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემული სახელმწიფო ტყეების ერთპიროვნული მმართველი. 2015 წელს აჭარის სატყეო სააგენტომ დაიწყო სტრატეგიული გეგმის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სააგენტოს გაძლიერებას. მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს ჰქონდეს ყველა შესაძლებლობა, რათა წარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. „ტყეების ერთი უწყების მიერ მართვის“ პოლიტიკა ხელს არ შეუშლის ტყის ფონდის ტერიტორიების გაცემას რეკრეაციული, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებით სარგებლობისათვის.

ტყის მართვის ორგანოს შემდგომი გაძლიერებისა და განვითარებისათვის აუცილებელია მისი სტრუქტურის დახვეწა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, პროფესიონალური კადრების მოზიდვა და არსებული კადრების საჭიროებისამებრ გადამზადება. აუცილებლად უნდა შეიქმნას სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი დაფინანსების წყაროების მოძიება. სამწუხაროდ საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ ტყის მართვის ორგანოს, საკმარისი ოდენობის კვალიფიციური კადრებით. სააგენტომ უნდა გამოახსოს აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტების მოსაზიდი საშუალებები. სასურველი იქნება სააგენტომ თავისით ან სხვა საგანმანათლებლო და პროფესიონალურ სასწავლებლებთან ერთად განახორციელოს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამები და სტაჟირება.

ასევე, აუცილებელია ტყის მართვის ორგანომ უზრუნველყოს მოსახლეობისათვის სათანადო სერვისების მიწოდება. შესაბამისი სერვისების დანერგვითა და განვითარებით მიღებული შემოსავლებით სატყეო თავად შეძლებს ტყის დაცვისა და მოვლა-აღდგენის ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსებას.

იმისათვის, რომ შეიქმნას ძლიერი სატყეო ინსტიტუციები, საჭიროა:

- ა) დაიხვეწოს ტყის მართვის ორგანოს სტრუქტურა;
- ბ) მოხდეს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;
- გ) განხორციელდეს პროფესიონალი კადრების მოზიდვა და არსებულის საჭიროებისამებრ გადამზადება;
- დ) მოხდეს მართვის ორგანოს მიერ სათანადო სერვისების დანერგვა-განვითარება და მოსახლეობისათვის მიწოდება;
- ე) გაძლიერდეს თანამშრომლობა ტყის მართვის ორგანოსა და აკადემიურ და პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებს შორის.



### 3.10 საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კარგად აცნობიერებს ტყეების დაცვით ფუნქციებს, ისინი თავიანთი რთული სოციალური და მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაკლებად ფიქრობენ ტყეების მომავალზე. ამისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო რომ შემცირდეს მოსახლეობის ნეგატიური ზემოქმედების შედეგები რეგიონის ტყეებზე და ამალდეს მოსახლეობის ცნობიერების დონე ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენის საკითხებში.

საჭიროა მოსახლეობა ჩართული იყოს ადგილობრივი ტყეების მართვის საკითხების განხილვის პროცესში. მოსახლეობის გონივრული მონაწილეობა ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის საკითხებში, ტყის მდგრადი მართვის მთელი ციკლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. გონივრული მონაწილეობა გულისხმობს ინფორმაციასთან წვდომას, ტყის მართვის საკითხებზე გამართულ განხილვებში მონაწილეობას, ასევე მოსახლეობის მოსაზრების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მართვის სათანადო ორგანოები რეგულარულად ახორციელებენ კომუნიკაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების ტყითსარგებლობისა და ტყის მართვის საკითხებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

ა) გაძლიერდეს სააგენტოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, შეიქმნას ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები და არხები, რომლის მთავარი მიზანი იქნება ტყითსარგებლობის წესების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ადეკვატური სამოქალაქო კულტურის დამკვიდრება;

ბ) საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა ტყის მართვის დაგეგმვის საკითხებში. მაგ. დაგეგმილი ქმედებების განხილვა მოსახლეობასთან, მათი შეხედულებების გათვალისწინება ტყის მართვის გეგმის შემუშავების პროცესში.

### 3.11 კანონმდებლობა

დეცენტრალიზაციის პრინციპების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული სახელმწიფო ტყეები უნდა გადაეცეს ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში. ამის მისაღწევად მიღებული უნდა იქნეს აჭარის სატყეო პოლიტიკა, ტყის მართვის კანონმდებლობა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. მიღებული კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სრულ შესაბამისობაში უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობასთან.

განსახორციელებელ პრიორიტეტულ ქმედებებს მიეკუთვნება:

ა) შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღება, რაც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მიზნებსა და პრინციპებთან.

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის, რომელსაც დღეისათვის მართავს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა;





## განმარტებითი ბარათი

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის“ დოკუმენტის პროექტის შესახებ

#### ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია სატყეო სექტორში არსებული პრობლემები, რაც წარმოადგენს აჭარის სატყეო პოლიტიკის მიზნის მიღწევის დამაბრკოლებელ ფაქტორს. ეს პრობლემებია:

1. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა;
2. ტყის მერქნული და არამერქნული რესურსით არარაციონალური სარგებლობა;
3. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
4. მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე მდგრადი ტყითსარგებლობის საკითხებში;
5. აჭარის ტყეების მართვის ორგანოს - სატყეო სააგენტოს არასაკმარისი შესაძლებლობები.

#### ბ) დადგენილების პროექტის არსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ტერიტორიაზე არსებული ტყეების მართვის გრძელვადიან ხედვას მათი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით. იგი სრულად შეესაბამება საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს დამტკიცებულ საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მიზნებსა და პრინციპებს.

დადგენილების პროექტის მიხედვით, ტყის მდგრადი მართვისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპებზე დაფუძნებული სატყეო სექტორი უზრუნველყოფს ჯანსაღ, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, კლიმატის ცვლილების და ანთროპოგენური ზემოქმედების უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების ეფექტიან დაკმაყოფილებას, ტყის ფუნქციონალური დატვირთვის გაზრდასა და გაძლიერებას.

აღნიშნული პროექტის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განახორციელებს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

1. ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღის შენარჩუნება;
2. დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება;
3. ტყის მაღალი კოსერვაციული ღირებულებების დაცვა-შენარჩუნება;
4. ტყის მერქნული რესურსებით რაციონალური სარგებლობა;
5. ტყის არამერქნული რესურსებით რაციონალური სარგებლობა;
6. ტყითსარგებლობა სასოფლო სამეურნეო მიზნებისათვის;
7. ტყითსარგებლობა ნადირობისა და თევზჭერის მიზნით;
8. ტყითსარგებლობა რეკრეაციული მიზნით;
9. ტყის მართვის ძლიერი უწყების შექმნა;
10. საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა;
11. კანონმდებლობა.



დეცენტრალიზაციის პრინციპების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული სახელმწიფო ტყეები უნდა გადაეცეს ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში. ამის მისაღწევად მიღებული უნდა იქნეს აჭარის სატყეო პოლიტიკა, ტყის მართვის კანონმდებლობა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. მიღებული კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სრულ შესაბამისობაში უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობასთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახორციელებელ პრიორიტეტულ ქმედებებს მიეკუთვნება:

ა) შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღება, რაც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მიზნებსა და პრინციპებთან;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის, რომელსაც დღეისათვის მართავს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის ჩართულობით.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი.



# ა მ ო ნ ა წ ე რ ი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 23 მაისის №4 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს:

კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ წულაძის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირება.
2. ინიცირებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე, უმაღლეს საბჭოში განხილვებისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ წულაძე.

კომიტეტის თავმჯდომარე



ვახტანგ წულაძე





N 1151/02  
08/05/2019

1151-02-2-201905081401



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის  
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ ვახტანგ წულაძეს

**ბატონო ვახტანგ,**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში შემოსული, თქვენი 2019 წლის 18 აპრილის N09-02-16/290 წერილის პასუხად, რომლითაც წარმოდგენილი იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის“ პროექტი, გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის თაობაზე შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ასევე, გეგზავნებთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი სამმართველოს და სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის“ პროექტის თაობაზე.

**დანართი: „2“ ფურცელი.**


პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

მთავრობის აპარატის უფროსი







6010, ქ. ვახტანგ ვორგასალის ქ. №124  
№ 124, Vakhtang Gorgasali st., Batum, 6010

ტელ: (0422) 27 35 91 ფაქსი: (0422) 27 35 90  
Tel: (0422) 27 35 91 Fax: (0422) 27 35 90

N 08/320  
07/05/2019

320-08-2-201905071056



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის აპარატის უფროსს  
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ ტიტე აროშიძეს

ბატონო არჩილ,

თქვენი 2019 წლის 23 აპრილის N1027/02 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ განხილული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი“-ს პროექტი, რასთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ვახტანგ ბაგრატიონი

სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
აჭარის სატყეო სააგენტო



GEORGIA  
Ajara Autonomous Republic  
Legal entity of public law  
Forestry Agency of Ajara

6010 ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N51  
ტელ: (0422 27 28 93)  
N 09/442  
06/05/2019

N51, Pridon Khalvashi Ave, Georgia 6010  
Tel: (0422 27 28 93)

442-09-2-201905061621



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი  
რესურსების სამმართველოს უფროსს  
ბატონ ჯემალ ნაკაშიძეს

ბატონო ჯემალ,

თქვენი, 2019 წლის 3 მაისის №08/310 კორესპოდენციის პასუხად, რომელიც ეხებოდა  
«აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკი“-ს პროექტზე ჩვენს შენიშვნებსა  
და წინადადებებს, გაცნობებთ, რომ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ აღნიშნული  
პროექტი მოწონებულია და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

თემურ ყურშუბაძე

სააგენტოს უფროსი  
ხელმძღვანელობა







2081-01-01-10-2-201905071106



N 01-01-10/2081

07/05/2019

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის  
თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ წულაძეს


ბატონო ვახტანგ,

მიგვაჩნია, რომ ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპებზე დაფუძნებული სატყეო სექტორის შექმნა და ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვა ჩვენი რეგიონის ეკოსისტემის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მიესალმება ამ მიმართულებით გამოჩენილ ნებისმიერი სახის ინიციატივასა და გაწეულ საქმიანობას. ამასთანავე გაცნობებთ, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი“-ს პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტყარაძე

მინისტრი





## ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი

N 01-17/140  
24/04/2019

140-01-16-2-201904241552



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმადლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის  
საკითხთა კომიტეტის თავჯდომარეს,  
ბატონ ვახტანგ წულაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი მომართვის (N 09-02-16/288, 18/აპრილი/2019 წ.) პასუხად „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი“-ს პროექტთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. პროექტის შესავალ ნაწილში (გვ. 2, მე-3 აბზაცი) უფრო ფართოდ განიმარტოს აჭარის რელიქტური ტყეების უნიკალური ადგილი - ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ კავკასია შეყვანილია იმ 200 ეკორეგიონს შორის, რომლებიც გამორჩეულია სახეობათა სიუხვის, ენდემიზმის მაჩვენებლის, ტაქსონომიური უნიკალურობის, წარმოშობის თავისებურებების და ჰაბიტატების იშვიათობის მიხედვით. გარდა ამისა, კავკასია ერთ-ერთია დედამიწაზე იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების 34 „ცხელ წერტილთაგან“, რომლებიც ხასიათდებიან ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით და საფრთხეში მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით. ამ მხრივ აჭარას, მცენარეული საფარის მრავალფეროვნებით, მათში ენდემიზმის მაღალი ხვედრითი წილით და ტყის ეკოსისტემების უნიკალურობის მიხედვით ერთ-ერთი საყურადღებო ადგილი უჭირავს. წორედ ამის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ WWF-ის ინიციატივაში „ევროპის ტყეების 100 ცხელი წერტილის შესახებ“ (ანუ დაუცავ ტყეთა 100 მონაკვეთის შესახებ, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დაცვას) ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი მიენიჭა აჭარის უნიკალურ კოლხურ, რელიქტურ ტყეებს.





2. პრობლემების ნაწილში (გვ. 5, მე-5 პუნქტი) სასურველია დაემატოს შემდეგი ტექსტი - მოსახლეობის ცნობადობის დაბალი დონის ამაღლების მიზნით გამოიცეს ბეჭდური მასალები;
3. თავი 3.2-ში (გვ. 8) ერთ-ერთ პუნქტათ გამოიყოს - სატყეო სააგენტოსთან სანერგის დაარსება, სადაც გამოყვანილი იქნება არა მხოლოდ ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობები, არამედ სხვა შედარებით იშვიათი და ენდემური სახეობებიც, რომლებიც აუცილებელია პირველადი ეკოსისტემების აღდგენისთვის.

ირაკლი არჩაია

დირექტორი

ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი

